



საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო  
Georgian Civil Aviation Agency

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს  
საქმიანობის ანგარიში  
2022 წელი





## სააგენტოს შესახებ

სამოქალაქო ავიაციის სააგენტო არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც უზრუნველყოფს სამოქალაქო ავიაციის დარგის რეგულირებას, მუდმივ ზედამხედველობას, კონტროლს და შესაბამისი მომსახურებების გაწევას.

ჩვენი უმთავრესი მიზანებია სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხო ფუნქციონირება, საავიაციო უსაფრთხოებისა და უშიშროების მაღალი სტანდარტების დანერგვა ევროკავშირთან ერთიანი საჰაერო სივრცის შეთანხმებით გათვალისწინებული რეგულაციებისა და დირექტივების დანერგვით, მგზავრთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა, საავიაციო ბაზრის განვითარების ხელშეწყობა, საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება და სხვა.

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს საქმიანობა მოიცავს სამ ძირითად პროცესს. ესენია: სამოქალაქო ავიაციის რეგულირება (სამოქალაქო ავიაციის მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების ან/და ცვლილებების მიღება), ავიასწარმოებისა და ავიასპეციალისტების სერტიფიცირება და მათი მუდმივი ზედამხედველობა. სააგენტო ასევე უზრუნველყოფს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების, სამოქალაქო აეროდრომების სახელმწიფო რეგისტრაციას, ავიაკომპანიების ბაზარზე დაშვებას და საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით დელეგირებული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

სააგენტოს სტრუქტურული ერთეულებია: ფრენის სტანდარტების, სერტიფიცირებისა და ინსპექტირების დეპარტამენტი; აეროდრომების და აეროპორტების დეპარტამენტი; სააერნაოსნო მომსახურების დეპარტამენტი; საჰაერო ხომალდების ვარგისობისა და რეგისტრაციის დეპარტამენტი; გადაყვანა-გადაზიდვების დეპარტამენტი; საავიაციო უშიშროების დეპარტამენტი; ადმინისტრაციული დეპარტამენტი; საფინანსო-ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი; ხარისხის მართვის დეპარტამენტი; უპილოტო საჰაერო სისტემების და საერთო დანიშნულების ავიაციის დეპარტამენტი; სამართალშემოქმედების, საერთაშორისო სტანდარტებისა და ევროკავშირის რეგულაციების დანერგვის დეპარტამენტი.



## რეგულირება / სამართალშემოქმედებითი საქმიანობა

სააგენტოს სამართალშემოქმედებითი საქმიანობა ითვალისწინებს სამოქალაქო ავიაციის სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული აქტების, სახელმძღვანელოების, ინსტრუქციების შემუშავებას და მიღებას, ასევე კანონმდებლობით განსაზღვრული, სამოქალაქო ავიაციის სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების პროექტების შემუშავებას. სააგენტოს მიერ, სამოქალაქო ავიაციის მარეგულირებელი აქტების შემუშავების უფლებამოსილება განსაზღვრულია საქართველოს საჰაერო კოდექსით, ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ საქართველოს კანონით და სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დებულებით.

ფრენების უსაფრთხოების გაუმჯობესების, ზედამხედველობის ხარისხის ამაღლების, მგზავრთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით, 2022 წელს, სააგენტომ შესაბამისი ევროკავშირის რეგულაციების და დირექტივების, ასევე ICAO-ს სტანდარტებისა და რეკომენდირებული პრაქტიკის მიხედვით, შემდეგი წესები/ცვლილებები მიიღო/პროექტზე იმუშავა:

- საჰაერო ხომალდის ტექნიკური მომსახურების სპეციალისტის სერტიფიცირების წესი** (სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 18 მარტის N69 ბრძანება) - ახალი ნორმატიული აქტი შემუშავდა ევროკავშირთან ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ შეთანხმებით აღებული ვალდებულებების ფარგლებში, ევროკავშირის (EU) No1321/2014 რეგულაციის მე-3 დანართით (PART-66) გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად და მისი მიზანია არსებული ფრენის უსაფრთხოების სტანდარტების გაუმჯობესება, საჰაერო ხომალდების და მათი კომპონენტების ტექნიკურ მომსახურებაში ჩართული სპეციალისტებისათვის სწავლების, სამუშაო გამოცდილების და საგამოცდო მოთხოვნების ახალი და უფრო სრულყოფილი სტანდარტების დადგენის გზით. წესის მოქმედება ვრცელდება საჰაერო ხომალდის ტექნიკური მომსახურების სპეციალისტის მოწმობის მფლობელებზე, რომლებიც ახორციელებენ საჰაერო ხომალდის და მისი კომპონენტების ტექნიკურ მომსახურებას. ნორმატიული აქტით, დეტალურად ხდება ტექნიკური მომსახურების ყველა კატეგორიის და ქვეკატეგორიის მოწმობის მაძიებლისთვის ცოდნის



დონეების, სასწავლო მოდულების, საგამოცდო მოთხოვნების, თეორიული, პრაქტიკული და სამუშაო ადგილზე სწავლების მოთხოვნების განსაზღვრა.

- საჰაერო ხომალდის ტექნიკური მომსახურების სასწავლო დაწესებულების სერტიფიცირების წესი** (სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 28 მარტის N76 ბრძანება) - ახალი ნორმატიული აქტი მიღებულ იქნა ევროკავშირთან ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ შეთანხმებით აღებული ვალდებულებების ფარგლებში, ევროკავშირის (EU) No1321/2014 რეგულაციის მე-4 დანართის (PART-147) მოთხოვნების გათვალისწინებით და მისი მიზანია არსებული ფრენის უსაფრთხოების სტანდარტების გაუმჯობესება, საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების სწავლების, საგამოცდო მოთხოვნების, შეფასებისა და სასწავლო პროგრამების ახალი და უფრო სრულყოფილი სტანდარტების დადგენის გზით. წესის მოქმედება ვრცელდება საჰაერო ხომალდის ტექნიკური მომსახურების სასწავლო დაწესებულების სერტიფიკატის მფლობელებზე, რომლებიც ახორციელებენ საჰაერო ხომალდის ტექნიკური მომსახურების სპეციალისტების მომზადებას. ნორმატიული აქტით, დეტალურად ხდება ტექნიკური მომსახურების სასწავლო დაწესებულების მატერიალურ ტექნიკურ ბაზასთან, მის პერსონალთან, სასწავლო მასალებთან, სასწავლო პროცედურებთან და ხარისხის სისტემასთან, საბაზო და საჰაერო ხომალდის ტიპზე მომზადებასთან, გამოცდებთან და პრაქტიკული სწავლების შეფასებასთან დაკავშირებული მოთხოვნების განსაზღვრა.
- საავიაციო ტექნიკის საფრენად ვარგისობის მართვის საწარმოს სერტიფიცირების წესი** (სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 29 ივლისის №172 ბრძანება) - წესი შემუშავებულია ევროკავშირის (EU) No1321/2014 რეგულაციის PART-CAMO მოთხოვნების გათვალისწინებით და მისი მიზანია საავიაციო ტექნიკის საფრენად ვარგისობის მართვასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება და საავიაციო ტექნიკის მომხმარებელთა ინტერესების დაცვა. ახალი რეგულაციის თანახმად, ყველა ავიასაწარმოს, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული საჰაერო ხომალდების საფრენად ვარგისობის პროცესის მართვას, საჰაერო ხომალდის, მისი აღჭურვილობის, მაკომპლექტებული ნაწილების, აგრეგატების, სისტემების, ძრავების, საწაფის და საჰაერო ხომალდის სახმელეთო მომსახურების საშუალებების საფრენად ვარგისობის შენარჩუნებას, უნდა გააჩნდეს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ გაცემული საავიაციო ტექნიკის საფრენად ვარგისობის მართვის საწარმოს სერტიფიკატი. უცხო ქვეყნის მიერ



სერტიფიცირებული საწარმოს მიერ საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული საჰაერო ხომალდის საფრენად ვარგისობის მართვა ხორციელდება, თუ ამ საწარმოს აქვს EASA-ს ან EASA-ს წევრი ქვეყნის მიერ გაცემული სერტიფიკატი, რომლის აღიარება ხდება სააგენტოს მიერ. ახალი მოთხოვნებით, საავიაციო ტექნიკის საფრენად ვარგისობის მართვის საწარმომ უნდა დანერგოს მართვის სისტემა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საწარმოს ორგანიზაციულ სტრუქტურას, გაწეული მომსახურების კომპლექსურობას საფრთხეების და რისკების გათვალისწინებით, საწარმომ სააგენტოში უნდა წარმოადგინოს საფრენად ვარგისობის მართვის პროცედურების სახელმძღვანელო, წინასწარ უნდა შეათანხმოს სააგენტოსთან სერტიფიკატი და მისი დანართით განსაზღვრული სამუშაოების მოცულობებთან დაკავშირებული ცვლილებები და ა.შ.

- სამოქალაქო აეროდრომის რაიონის დადგენისა და ამ რაიონში ობიექტის დასაშვები სიმაღლის განსაზღვრის წესი** (სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 18 მაისის N111 ბრძანება) - ახალი ნორმატიული აქტი მიღებულ იქნა ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის მე-14 დანართის მოთხოვნების გათვალისწინებით. წესის მიზანია, აეროდრომის რაიონის განსაზღვრის და აეროდრომის რაიონში შენობა-ნაგებობის დასაშვები სიმაღლის შეთანხმების მოთხოვნების დადგენა. წესი ვრცელდება სერტიფიცირებული აეროდრომის ექსპლუატანტზე. აღნიშნული წესის თანახმად, 2022 წელს განხორციელდა საქართველოს სამოქალაქო აეროდრომების დაცვის არეებს დადგენა და შესაბამისი მუნიციპალიტეტების პერსონალთან გაიმართა სამუშაო შეხვედრები.
- დიდი გაბარიტების და ტურბორეაქტიული ძრავების მქონე, საერთო დანიშნულების ავიაციის თვითმფრინავების საფრენოსნო ექსპლუატაციის წესი** (სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 7 ივლისის N152 ბრძანება) - ნორმატიული აქტის მიღებით, მოხდა ევროპული სტანდარტის, კერძოდ 965/2012-ის NCC ნაწილის ტრანსპოზიცია. წესი ადგენს საერთო დანიშნულების ავიაციის თვითმფრინავების საფრენოსნო ექსპლუატაციის წესებს და მისი მოქმედება ვრცელდება „საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში“ და უცხო სახელმწიფოს რეგისტრაციის თვითმფრინავებით საქართველოს საჰაერო სივრცეში განხორციელებულ საერთო დანიშნულების ავიაციის ფრენებზე, რომელიც ხორციელდება თვითმფრინავებით: რომელთა მაქსიმალური სერტიფიცირებული ასაფრენი მასა აღემატება 5700 კგ-ს ან აღჭურვილია ერთი, ან მეტი ტურბორეაქტიული ძრავით; 9-ზე მეტი სერტიფიცირებული



სამგზავრო ადგილის მქონე ან კორპორატიული ავიაციის ექსპლუატაციაში ჩართულ თვითმფრინავზე.

- საერთო დანიშნულების ავიაციის ვერტიკალური საფრენოსნო ექსპლუატაციის წესი** (სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 13 დეკემბერის N270 ბრძანება) - ნორმატიული აქტი შემუშავებულია „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის მე-6 დანართის მიხედვით, ამავე დროს, წესის დანერგვით, სააგენტომ განახორციელა ევროპული რეგულაცია EU965/2012-ის NCC ნაწილის ტრანსპორტი ეროვნულ კანონმდებლობაში. წესის მოქმედება ვრცელდება „საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში“ და უცხო სახელმწიფოს რეგისტრაციის ვერტიკალური საჰაერო სივრცეში განხორციელებულ საერთო დანიშნულების ავიაციის ფრენებზე და ადგენს საფრენოსნო ექსპლუატაციის წესებსა და პირობებს.
- უსაფრთხოების მართვის სისტემის წესი** (სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 20 სექტემბერის N196 ბრძანება) - წესი 2023 წლის 1 მარტიდან შედის ძალაში. ამავე თარიღიდან, ძალადაკარგულად ცხადდება „უსაფრთხოების მართვის სისტემის ზოგადი წესის“ დამტკიცების შესახებ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 29 დეკემბრის №206 ბრძანება. ნორმატიული აქტით ხდება ICAO-ს უსაფრთხოების მართვის სახელმძღვანელოს (Doc 9859) განახლებული მოთხოვნების ასახვა ეროვნულ კანონმდებლობაში. წესი ვრცელდება სააგენტოს მიერ სერტიფიცირებულ ავიასაწარმოებზე და მისი მიზანია სამოქალაქო ავიაციაში ფრენების უსაფრთხოების გაუმჯობესება უსაფრთხოების მართვის სისტემის მიმართ მოთხოვნების დადგენის გზით. წესი ადგენს უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვის, უსაფრთხოების კულტურის ჩამოყალიბების, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ანგარიშვალდებულების და პასუხისმგებლობის, უსაფრთხოების რისკების მართვის, შეფასებისა და შემცირების დეტალურ მოთხოვნებს.
- საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის გაცემის წესი** (სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 16 ივნისის N98 ბრძანება) - წესში განხორციელდა ცვლილებები, რომლებიც მიზნად ისახავენ აღნიშნული რეგულაციით გათვალისწინებული ზედამხედველობის და მონიტორინგის მექანიზმების სრულყოფას, რაც კიდევ უფრო ეფექტურს ხდის სააგენტოს მხრიდან ავიაკომპანიების ფინანსური მდგრადობის და



საიმედოობის კონტროლს. მოცემული ცვლილებებით, სააგენტოს მინიმუმამდე დაჰყავს საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის მაძიებლების ან მფლობელების მხრიდან უწყებისთვის არასწორი ინფორმაციის მოწოდების, ინფორმაციის დაფარვის ან გარკვეული მონაცემების მოწოდებისაგან თავის არიდების შესაძლებლობები. მნიშვნელოვან ცვლილებებს შორის აღსანიშნავია შემდეგი: გაჩნდა ახალი მოთხოვნა, რომლის მიხედვით, განმცხადებელმა სააგენტოს უნდა წარმოუდგინოს საწარმოს კაპიტალში ინვესტიციის განხორციელებისას პარტნიორის მიერ გამოყენებული ფულადი სახსრების წარმომავლობა; მოწმობის გაცემის პირობად განისაზღვრა 3 წლიანი ბიზნეს-გეგმის წარმოდგენა, რომელსაც უნდა გააჩნდეს განხორციელების გონივრული პერსპექტივა; დაუხსტდა განმცხადებლის ვალდებულება წარმოადგინოს იმგვარი ბიზნეს-გეგმა, რომლის მიხედვითაც იგი შეძლებს პირველი 2 წლის განმავლობაში არსებული და პოტენციური ვალდებულებების შესრულებას. ამასთან, დაკონკრეტდა, რომ განმცხადებელს უნდა გააჩნდეს საკმარისი ოდენობის ნაღდი ფული ოპერირების დაწყებიდან პირველი სამი თვის განმავლობაში არსებული და პოტენციური ვალდებულებების დასაფარად; წესით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან ავიაგადამზიდველის შესაბამისობის დასადგენად, სააგენტოს მიეცა უფლება ნებისმიერ დროს გამოითხოვოს ავიაგადამზიდველისგან ინფორმაცია, რათა გადაამოწმოს მისი შესაბამისობა უპირატესი საკუთრების/ეფექტური კონტროლისა და საქმიანობის ძირითადი ადგილის მოთხოვნებთან; სამი თვიდან 45 დღემდე ვადით შემცირდა გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის გაცემის მიზნით სააგენტოში წარმოდგენილი განაცხადების განხილვის ვადა.

- საჰაერო ტრანსპორტით სახიფათო ტვირთის გადაზიდვის წესი** (სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 27 დეკემბრის №263 ბრძანება) - ნორმატიულ აქტში შესული ცვლილებების შესაბამისად, განხორციელდა სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, სახიფათო ტვირთების გადაზიდვების კუთხით პერსონალის მომზადების ახალი სისტემისა და მოთხოვნების გადმოტანა საქართველოს შიდა კანონმდებლობაში. ცვლილებების შესაბამისად ასევე დაწესდა ახალი მოთხოვნები საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტებისთვის, საავიაციო სატვირთო ტერმინალებისთვის, აეროპორტების ექსპლუატანტებისთვის, ტვირთგამგზავნებისა და სატვირთო ექსპედიტორებისა და სასწავლო ორგანიზაციებისთვის.



ჩიკაგოს კონვენციის დანართების, ICAO-ს ოფიციალური გამოცემების, შესაბამისი ევროპული რეგულაციებისა და/ან მათი ცვლილებების ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვის და მოთხოვნების დეტალიზაციის მიზნით, ცვლილებები განხორციელდა ასევე შემდეგ წესებში:

- საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიცირების წესი (სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 19 აგვისტოს №142 ბრძანება);
- სამოქალაქო ავიაციის სასწავლო დაწესებულების სერტიფიცირების წესი (სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 24 ოქტომბრის N221 ბრძანება);
- თვითმფრინავების საფრენოსნო ექსპლუატაციის წესები (სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 11 ოქტომბრის №203 ბრძანება);
- ვერტიფრენების საფრენოსნო ექსპლუატაციის წესები (სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 22 ოქტომბრის №220 ბრძანება);
- საავიაციო სატვირთო ტერმინალების სერტიფიცირების წესი (სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 27 დეკემბრის №264 ბრძანება);
- ავიასამედიცინო ცენტრის, ავიასამედიცინო ექსპერტის სერტიფიცირების და ავიასპეციალისტის სამედიცინო სერტიფიცირების წესი (სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 8 იანვრის №4 ბრძანება);
- საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდებზე ფრენის ვარგისობის და ხმაურის სერტიფიკატების გაცემის წესი (სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 15 ოქტომბრის №209 ბრძანება);
- ფრენის პროცედურების დიზაინის წესი (სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 22 თებერვლის N22 ბრძანება);
- ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის საფრენოსნო შემადგენლობის სერტიფიცირების წესი (სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 31 მაისის №111 ბრძანება);
- სპეციალური ნებართვის გაცემის წესი (სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 31 მარტის N70 ბრძანება);
- უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემების ექსპლუატაციის წესი (სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 25 სექტემბრის №156 ბრძანება);
- სამოქალაქო აეროდრომების/ვერტიკალური პროექტირებისა და ექსპლუატაციის ძირითადი პირობები (საქართველოს მთავრობის 2028 წლის 16 თებერვლის №87 დადგენილება).





## სერტიფიცირება / რეგისტრაცია

საქართველოში, სამოქალაქო ავიაციის სფეროში სერტიფიცირების წესებს ადგენს და სერტიფიცირებას ახორციელებს სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო. სერტიფიცირებას ექვემდებარება ყველა ავიასაწარმო, რომელიც ჩართულია საავიაციო გადაყვანა-გადაზიდვებში – ავიაკომპანია, აეროდრომი, სააერონავთო მომსახურების საწარმო, საჰაერო ხომალდის ტექნიკური მომსახურების საწარმო, საავიაციო სასწავლო დაწესებულება, ავიასაწვავამმართველი საწარმო და ა.შ. სერტიფიცირება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის, „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ კონვენციის და მისი დანართების შესაბამისად. ამასთან, ევროკავშირთან ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ შეთანხმების ფარგლებში, სააგენტო განაგრძობს ეროვნული საავიაციო კანონმდებლობის დაახლოვებას ევროპულ სტანდარტებთან, რაც ეტაპობრივად ასახვას ჰპოვებს უწყების მიერ ჩატარებულ სერტიფიცირების პროცესებზე.

- 2022 წელს, საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტების სერტიფიცირების კუთხით განხორციელდა:

პირველადი სერტიფიცირება - 6 (ს.ხ. ექსპლუატანტის სერტიფიკატი გაიცა შემდეგ იურიდიულ პირებზე: შპს „საქართველოს ავიახაზები“; შპს „აირ ჯორჯია“; შპს „თბილისი ეარვეისი“; შპს „ავიაკოპტერი“; შპს „აირზენა“ და შპს „კამექს ეარლაინს-ი“);

საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატების მოქმედების ვადის გაგრძელება - 5 (შპს „აკ-ეარ ჯორჯია“; შპს „სკაი ტრეველი; შპს „მაივეი ეარლაინზ კო ლტდ“; შპს სერვისეირი-ServiseAir“ და შპს „ავიასერვისი“);

საჰაერო ხომალდების ექსპლუატანტის სერტიფიკატების გაუქმება - 4 (შპს „ავიაკომპანია თუშეთი“; შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი“; შპს „სერვისეირი-ServiseAir“ და შპს „აირ ჯორჯია“);

პირველადი სერტიფიცირების მიმდინარე პროცესი - 1 (მიმდინარეობს პირველადი სერტიფიცირების პროცესი: შპს „გრიფონ ეარ კარგო“);



საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება - 1;

საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის მოქმედების აღდგენა - 1;

საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის №1 დანართში საჰაერო ხომალდის შეტანა -12. საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის №1 დანართიდან საჰაერო ხომალდის ამოღება - 12. საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის №1 დანართში/საექსპლუატაციო სპეციფიკაციებში ცვლილებების შეტანა -5;

საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის №2 დანართის გაცემა - 5. საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის №2 დანართის მოქმედების ვადის გაგრძელება - 5. საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის №2 დანართის გაუქმება - 3. ცვლილება საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატში -2.

- 2022 წელს, დარეგისტრირდა და ფრენის ვარგისობის სერტიფიკატი გაიცა 13 ერთეულ საჰაერო ხომალდზე (ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://gcaa.ge/civil-aircraft-register/>).
- 2022 წელს, სააგენტომ საჰაერო ხომალდის ტექნიკური მომსახურების სასწავლო დაწესებულების სერტიფიცირება საჰაერო ხომალდის ტექნიკური მომსახურების სასწავლო დაწესებულების სერტიფიცირების ახალი წესის და შესაბამისად, ევროპული რეგულაციის 1321/2011 (Part-147) მოთხოვნების შესაბამისად განახორციელა. სააგენტომ მპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტზე“ საჰაერო ხომალდის ტექნიკური მომსახურების სასწავლო დაწესებულების სერტიფიკატი გასცა. სერტიფიცირების შედეგად, უნივერსიტეტს მიეცა უფლება განახორციელოს საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების სპეციალისტის (კატეგორია B1.1 და კატეგორია B2) საბაზო სწავლებები.
- 2022 წლის განმავლობაში არ განხორციელებულა სააერნაოსნო მომსახურების საწარმოს სერტიფიცირება. მიუხედავად ამისა, ზედამხედველობის კუთხით გადამოწმდა მპს „საქაერონავიგაციის“ რესერტიფიცირებისას გამოვლენილი ნაკლოვანებების მაკორექტირებელი ქმედებების შესრულება.



- სამოქალაქო აეროდრომის/ვერტოდრომის სერტიფიცირებისა და საფრენი მოედნების რეგისტრაციის და აღრიცხვის ახალი წესის მოთხოვნების შესაბამისად, შეიცვალა შემდეგი აეროდრომების სერტიფიკატები: მესტიის აეროდრომი (18.01.2022); ამბროლაურის აეროდრომი (20.01.2022); ნატახტარის აეროდრომი (24.01.2022); თელავის აეროდრომი (04.02.2022); ქუთაისის აეროდრომი (17.01.2022); თბილისის აეროდრომი (23.03.2022).
- განხორციელდა საავიაციო სატვირთო ტერმინალის (ქუთაისი კარგო სერვისი) სერტიფიკატის გაუქმება, უშუალოდ ტერმინალის მოთხოვნის საფუძველზე.
- 2022 წელს, განხილულ იქნა სასწავლო დაწესებულების სერტიფიცირების 3 განაცხადი. სდ-ს სერტიფიკატი გაიცა შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტზე“, ხოლო უარი ეთქვა სასწავლო დაწესებულების სერტიფიკატის ორ მაძიებელს - შპს „ფლაი აკადემის“ და სს „სასწავლო ავიაცენტრს“. სააერონავიაციო მომსახურების მიმართულებით, განხილულ იქნა სს „სასწავლო ავიაცენტრის“ სასერტიფიკაციო განაცხადი. შენიშვნების გათვალისწინებით, განმცხადებელს უარი ეთქვა სერტიფიკატზე.
- სათანადო განაცხადისა თანდართული მასალის განხილვის საფუძველზე განხორციელდა სხვა ქვეყნის საავიაციო ხელისუფლების მიერ სერტიფიცირებული 35 სასწავლო დაწესებულების/საწაფების აღიარება.
- 2022 წლის განმავლობაში, დასერტიფიცირდა შემდეგი საწვავ-გამმართველი საწარმოები: შპს „ჯორჯიან პეტროლიუმი“-ს საწვავგამმართველი საწარმო; შპს „პეტროკას ფუელ სერვისის ჯორჯია“-ს საწვავ-გამმართველი საწარმო და შპს „ჯორჯიან ეარვეისი“.
- 2022 წელს, სააგენტომ განხორციელა თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე, შპს „საქაერონავიგაციის“ ობიექტზე “SELEX-ES“-ის წარმოების ულტრამოკლე ტალღოვანი წრიული რადიომუქურის, (SELEX DVOR 001150A-0202 სერიული ნომერი 110253), მასთან შეთავსებული მანძილსაზომი მოწყობილობის და მათი შემადგენელი კომპონენტების აღიარება.
- 2022 წელს, დარეგისტრირდა შემდეგი საფრენი მოედნები: ჰელიქსირი გუდაური (24.01.2022); აზბულა (27.01.2022); არსიანი (02.02.2022) და ამბასადორი კაჭრეთი (24.05.2022).



- 2022 წელს, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს უპილოტო საჰაერო ხომალდების ექსპლუატანტების რეგისტრაციის ონლაინ პლატფორმაზე - <https://uas.gov.ge/> დარეგისტრირდა ასამდე ოპერატორი. ჯამში, 2023 წლის 1 იანვრის მდომარეობით, პლატფორმაზე რეგისტრირებული ოპერატორების რაოდენობა შეადგენს 600 უპილოტო საჰაერო ხომალდების ექსპლუატანტს.



## ინსპექტირება / ზედამხედველობა

საქართველოში სამოქალაქო ავიაციის საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო. ავიასაწარმოების საქმიანობის ინსპექტირებას ახორციელებენ სააგენტოს ფრენის უსაფრთხოების ან/და SAFA-ს ინსპექტორები, რომელთა უფლებამოსილებები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია კანონმდებლობით. საინსპექციო საქმიანობის მიზანია ინსპექტირების ობიექტისა და მისი საქმიანობის შესაბამისობის დადგენა მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, აგრეთვე ფრენის უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების დონის შენარჩუნება და/ან შემდგომი გაუჯობესება. სააგენტო ადგენს ინსპექტირების პროგრამას ყველა საზედამხედველო მიმართულებით, ავიასაწარმოების სპეციფიკის, საქმიანობის კომპლექსურობის, წინა სერტიფიცირების ან/და საზედამხედველო საქმიანობის შედეგების გათვალისწინებით და ახორციელებს ინსპექტირებას აღნიშნული პროგრამის შესაბამისად.

- 2022 წელს, „საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტების (ავიაკომპანიების) შემოწმებების 2022 წლის გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, შესრულდა საბაზო ობიექტების ინსპექტირება, სერტიფიკატის მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით, ასევე წინასასერტიფიკაციო ინსპექტირებები (პირველადი სერტიფიცირება). განხორციელდა საბაზო ობიექტების 29 გეგმიური ინსპექტირება და 2 არაგეგმიური ინსპექტირება. საჰაერო ხომალდების ბაქანზე ინსპექტირებები რაოდენობა შეადგენს 52-ს. გარდა ამისა, განხორციელდა პილოტების საკვალიფიკაციო შემოწმებები - 6 (სიმულატორი), პილოტ-ინსტრუქტორების კვალიფიკაციის მინიჭება -3, უფროსი პილოტ-ინსტრუქტორების კვალიფიკაციის ვადის გაგრძელება - 4.
- 2022 წელს, სააგენტოს აეროდრომებისა და აეროპორტების დეპარტამენტის მიერ განხორციელდა 9 გეგმიური და 3 სასერტიფიკაციო შემოწმება, მათ შორის სერტიფიცირებული აეროდრომების ექსპლუატანტების - 7 გეგმიური საინსპექციო შემოწმება, სერტიფიცირებული საწვავ-გასამართი საწარმოების - 2 გეგმიური საინსპექციო და 3 საწვავ-გასამართი საწარმოს სასერტიფიკაციო შემოწმება.
- 2022 წლის განმავლობაში, სასწავლო დაწესებულებების სერტიფიცირების და ზედამხედველობის ფარგლებში ჩატარდა გეგმიური ინსპექტირებები. სათანადო განაცხადისა თანდართული მასალის განხილვის საფუძველზე განხორციელდა სხვა ქვეყნის



საავიაციო ხელისუფლების მიერ სერტიფიცირებული 35 სასწავლო დაწესებულების/საწაფების აღიარება. გაიცა 11 მასწავლებლის მოწმობა.

- 2022 წელს განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული ყველა საინსპექციო შემოწმება განხორციელდა შპს „საქაერონავიგაციის“ ობიექტებზე თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, მესტიასა და ამბროლაურში. განხორციელდა წინა წლებში გამოვლენილი დიად დარჩენილი ნაკლოვანებების გადამოწმება.
- 2022 წელს, განხორციელდა როგორც გეგმიური, ისე არაგეგმიური ინსპექტირებები სახიფათო ტვირთის გადაზიდვის კუთხით. ინსპექტირებები განხორციელდა როგორც საქართველოს ტერიტორიაზე ასე საზღვრებს გარეთ. შემოწმდნენ საქართველოში რეგისტრირებული საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის მფლობელები, საავიაციო სატვირთო ტერმინალები, დანიშნული საფოსტო ოპერატორი, აეროპორტების ოპერატორები, ტვირთგამგზავნები, ასევე განხორციელდა ორი უცხოური ავიაკომპანიის ბაქანზე შემოწმება სახიფათო ტვირთების გადაზიდვის კუთხით. ჩატარდა საქართველოს ავიაკომპანიების საჰაერო ხომალდების რეგულარული და არაგეგმიური შემოწმებები ბაქანზე - სულ 30 ინსპექტირება.
- ინსპექტირებების გეგმის შესაბამისად, განხორციელდა სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული 54 ერთეული სხვადასხვა ტიპის, წონის და დანიშნულების საჰაერო ხომალდის და ტექნიკური მომსახურების საწარმოს გეგმიური და სასერტიფიკაციო შემოწმებები.
- ზედამხედველობა განხორციელდა საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების 12 საწარმოზე.
- რისკების შეფასების პროცედურის გაანგარიშებული შემოწმების გრაფიკის შესაბამისად ჩატარდა შაავიამიო უშიშროების ინსპექტირებები. შემოწმებები ასევე ჩატარდა 2022 წელს დარეგისტრირებულ ავიაკომპანიებში.
- ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოსთან (EASA) გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში, ჩატარდა უცხო ქვეყნის საჰაერო ხომალდების ბაქანზე შემოწმების (EU Ramp Inspection Programme SAFA) წლიური გეგმით გათვალისწინებული ინსპექტირებები (25);



- განხორციელდა შპს „პირველი ავიასამედიცინო ცენტრის“ შემოწმება. ამასთან, ავიასამედიცინო ექსპერტებს გაუგრძელდათ სერტიფიკატის მოქმედების ვადები - 3 წლით;
- განხორციელდა უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის ექსპლუატანტის ინსპექტირება.

### ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენა

2022 წლის განმავლობაში, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თანამშრომლების მიერ შედგენილი იქნა სამართალდარღვევათა 6 ოქმი. ავიასაწარმოების / პერსონალის დაჯარიმება მოხდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ შემდეგ დარღვევებზე:

- სამოქალაქო ავიაციის დარგში მოქმედი ნორმატიული აქტების დარღვევა (4);
- სამოქალაქო საჰაერო ხომალდით საქართველოს საჰაერო სივრცეში ფრენის წესის ან საჰაერო მოძრაობის მომსახურების წესის დარღვევა (1);
- სამოქალაქო საჰაერო ხომალდის ექსპლუატაციის წესების დარღვევა (1).



## საავიაციო უსაფრთხოების 2022-2024 წლების ეროვნული გეგმა

2022 წელს, სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ საავიაციო უსაფრთხოების 2022-2024 წლების ეროვნული გეგმა (**NASP of Georgia 2022-2024**) დაამტკიცა. აღსანიშნავია, რომ ფრენების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სამოქმედო დოკუმენტი პირველად იქნა შემუშავებული საქართველოში. ფრენის უსაფრთხოების ეროვნული გეგმა (NASP) არის დაგეგმარების მთავარი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს საქართველოს სტრატეგიულ მიმართულებას საავიაციო უსაფრთხოების მართვის კუთხით 3 წლის პერიოდისათვის (2022 წლიდან 2024 წლამდე). დოკუმენტში ჩამოთვლილი უსაფრთხოების რისკების პრევენციისაკენ მიმართულ ქმედებები ხელს უწყობს უსაფრთხოების გაუმჯობესებას როგორც ეროვნულ, ისე ფართო რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე. საავიაციო უსაფრთხოების 2022-2024 წლების ეროვნული გეგმა შემუშავებულია უსაფრთხოების იმ საერთაშორისო მიზნების, ამოცანების და მაღალი რისკის კატეგორიების (HRC) გამოყენებით, რომლებიც განსაზღვრულია როგორც გლობალური საავიაციო უსაფრთხოების გეგმაში (GASP), ასევე, ევროპულ/ჩრდილოატლანტიკურ რეგიონალურ საავიაციო უსაფრთხოების გეგმაში (EUR/NAT RASP).

დოკუმენტი მოიცავს საავიაციო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკვანძო ასპექტებს, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს, როგორც სფეროს ზედამხედველი უწყების ხედვას, პოლიტიკას და ექსპერტულ ანალიზს, საავიაციო უსაფრთხოების ეროვნულ მიზნებს, ამოცანებს, ინდიკატორებს, ასევე ფრენის უსაფრთხოების შემდგომი გაუმჯობესების / გაძლიერების ინიციატივებსა და ქმედებებს, ამ ქმედებების იმპლემენტაციის მონიტორინგის მექანიზმებს, იდენტიფიცირებულ უსაფრთხოების რისკებს, მათი შემცირებისკენ მიმართულ ღონისძიებების კომპლექსს და სხვა.

გეგმის ქართულენოვანი ვერსია ხელმისაწვდომია სააგენტოს ვებ-გვერდის შემდეგ ბმულზე: <https://gcaa.ge/guidance-materials/>





## საავიაციო ბაზარზე დაშვება, საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვები ციფრებში და საჰაერო მიმოსვლის აღდგენის დინამიკა საქართველოში

2022 წლის განმავლობაში, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ, აღიარებულ იქნა 7 უცხო ქვეყნის ავიაკომპანია, ასევე 2 ქართული ავიაკომპანია დაინიშნა 13 საერთაშორისო მიმართულებით. 2022 წელს, გაიცა დაახლოებით 2785 რეგულარული და არარეგულარული ფრენის ნებართვა და 51 თანხმობა უცხო ქვეყნის კომპანიის მიერ საქართველოს შიგნით ფრენებისათვის.

სააგენტოს მიერ შეჯამებული სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ საქართველო წარმატებით უბრუნდება საჰაერო მიმოსვლის კუთხით არსებულ იმ მზარდ დინამიკას, რაც ქვეყანას ჰქონდა პანდემიამდე. 2022 წელს, საქართველოს აეროპორტები ჯამში 4 441 316 მგზავრს მოემსახურა, რაც 78%-ით მეტია 2021 წლის ანალოგიურ პერიოდში გადაყვანილი მგზავრების რაოდენობაზე, 2019 წელს გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობასთან მიმართებაში კი, მგზავრთნაკადის აღდგენის მაჩვენებელი 85%-ს შეადგენს.

გასულ წელს, თბილისის საერთაშორისო აეროპორტი 2 998 785 მგზავრს მოემსახურა. ზრდა 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 78%-ს შეადგენს. ამასთან, მგზავრთნაკადის აღნიშნული მაჩვენებლით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტი 81%-ით დაუბრუნდა 2019 წელს დაფიქსირებული მგზავრების რაოდენობრივ მაჩვენებელს. ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის მეშვეობით გადაყვანილ იქნა 796 063 მგზავრი. მგზავრთნაკადის ზრდა 2021 წელთან შედარებით 182%-ს შეადგენს. 2019 წელთან შედარებით კი, ქუთაისის აეროპორტის მგზავრთნაკადის აღდგენის მაჩვენებელი 91%-ს შეადგენს. ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი 616 885 მგზავრს მოემსახურა. ზრდა 2021 წელთან შედარებით 20%-ია, ხოლო 2019 წელთან მიმართებაში, აღდგენის მაჩვენებელი 99%-ს შეადგენს.

მგზავრთნაკადის ზრდის დადებითი დინამიკა ასევე ადგილობრივი დაინიშნულების აეროპორტებში. მესტია 2022 წლის დაჯამებული მონაცემებით 9 385 მგზავრს მოემსახურა, რაც 83%-ით მეტია ვიდრე 2021 წელს გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა და 9%-ით აღმატება პანდემიამდე, 2019 წელს მიღებული მგზავრების რაოდენობას. ამბროლაურის აეროპორტმა განვლილ წელს 2 657 მგზავრი მიიღო, რაც 33%-ით მეტია, ვიდრე 2021 წელს მომსახურებული



მგზავრების რაოდენობა და 35%-ით აღემატება 2019 წელს მიღებული მგზავრების რაოდენობას. 2019 წელთან შედარებით, ნატახტარის აეროპორტში მგზავრთნაკადი 96%-ით გაიზარდა, ხოლო 2021 წელთან მიმართებაში ზრდა 148%-ს შეადგენს. აეროპორტი 17 541 მგზავრს მოემსახურა.

2022 წელს, საქართველოს აეროპორტებში ჯამში 21 430 რეისი განხორციელდა. აქედან რეგულარული რეისების რაოდენობა შეადგენდა 16 290-ს, ხოლო ჩარტერების – 5 140-ს. 2021 წელს განხორციელებული ფრენების რაოდენობასთან შედარებით, რეისების რაოდენობა 43%-ით გაიზარდა, ხოლო 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებაში, აღდგენის მაჩვენებელი 88%-ს შეადგენს.

2022 წელს, საქართველოს საჰაერო სივრცის გამოყენება გაიზარდა 69%-ით. სულ, გასულ 2022 წელს დაფიქსირდა 147 253 ერთეული გადაფრენა. 2021 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 87 314-ს შეადგენდა.

2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს აეროპორტებში 41 ავიაკომპანია 60 მიმართულებით ოპერირებს. 2022 წელს, საავიაციო ბაზარზე შემოვიდა 10 ახალი ავიაკომპანია. ესენია: Condor Airlines, Flyone Armenia, Varesh Airlines, Flyadeal, Armenia Airways, Pars Air, Southwind Airlines, Air Moldova, Thai Air Asia X და FlyArna.

2022 წლის განმავლობაში საქართველოს ავიაბაზარს დაემატა 9 ახალი მიმართულება. ესენია:

- ეილათი-ბათუმი-ეილათი (არკია);
- შტუტგარტი-თბილისი-შტუტგარტი (ევროვიზი);
- იზმირი-თბილისი-იზმირი (პეგასუსი);
- ფრანკფურტი-თბილისი-ფრანკფურტი (კონდორი);
- ტამპენტი-ბათუმი-ტამპენტი (უზბეკეთის ავიახაზები);
- რიგა-ბათუმი-რიგა (Airbaltic);
- კიშინიოვი-თბილისი-კიშინიოვი (ეარ მოლდოვა);
- ბანგკოკი-თბილისი-ბანგკოკი (ტაი ეარ აზია იქს);
- ანკარა-თბილისი-ანკარა (პეგასუსი).

2022 წლის საჰაერო მიმოსვლის დაჯამებული სტატისტიკა ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:

<https://gcaa.ge/statistics/>



## ავიაკომპანიების ფინანსური მდგრადობის და საიმედოობის შეფასება

2017 წლის 1 ივლისიდან, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო მოქმედი ავიაკომპანიების ფინანსური მდგრადობისა და საიმედოობის მონიტორინგს ახორციელებს. საქართველოში რეგისტრირებული საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტი უფლებამოსილია კომერციული მიზნით განახორციელოს მგზავრების, ბარგის, ტვირთის ან/და ფოსტის საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვა, თუ მას აქვს საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობა.

2022 წლის განმავლობაში, სააგენტო ახორციელებდა საჰაერო ხომალდების ექსპლუატანტების მიერ საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის შესრულების ფინანსური შესაძლებლობების შეფასებას, ანალიზს და მუდმივ ზედამხედველობას. აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში:

- 2022 წლის 4 თებერვალს, საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების მოწმობა გაიცა შპს საქართველოს ავიახაზებზე (“ა” კატეგორიის საწარმო);
- 2022 წლის 1 ივნისს, საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების მოწმობა გაიცა შპს ავიაკოპტერზე (“ბ” კატეგორიის საწარმო);
- 2022 წლის 20 ივნისს, საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების მოწმობა გაიცა შპს აირზენაზე (“ა” კატეგორიის საწარმო);
- 2022 წლის 4 ივლისს, საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების მოწმობა გაიცა შპს აირ ჯორჯიაზე (“ა” კატეგორიის საწარმო), თუმცა ამავე წლის 1 დეკემბერს, ხსენებული ავიაკომპანიის გადაყვანა-გადაზიდვების მოწმობა გაუქმდა, ვინაიდან შპს „აირ ჯორჯიას“ ექსპლუატაციაში მყოფი ერთადერთი თვითმფრინავი - Airbus 330-343 ტიპის საჰაერო ხომალდი სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრიდან ამოღებულ იქნა აღნიშნული საჰაერო ხომალდის მესაკუთრის მოთხოვნით. კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად კი, ავიაკომპანიის ექსპლუატაციაში საჰაერო ხომალდის არყოლა წარმოადგენს გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის გაუქმების ერთ-ერთ პირდაპირ საფუძველს;



- 2022 წლის 22 ივლისს, საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების მოწმობა გაიცა შპს აერო ექსპედიშენზე (“ბ” კატეგორიის საწარმო);
- 2022 წლის 27 ივლისს, საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების მოწმობა გაიცა შპს თბილისი ეარვეისზე (“ა” კატეგორიის საწარმო);
- 2022 წლის 17 აგვისტოს, საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების მოწმობა გაიცა შპს კამექს ეარლაინსზე (“ა” კატეგორიის საწარმო);
- საჰაერო-გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის მფლობელმა საწარმოებმა სააგენტოში წარმოადგინეს 2022 წლის აუდირებული ფინანსური ანგარიშგება;
- 2022 წელს, სააგენტომ შეიმუშავა საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის გაცემის მომწესრიგებელი ნორმების განმარტებითი სახელმძღვანელო. დოკუმენტი წარმოადგენს „საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის გაცემის წესის“ დამხმარე სახელმძღვანელოს, რომელიც მომზადებულია ევროკავშირისა და საქართველოს უახლესი პრაქტიკის ანალიზისა და ევროკომისიის მიერ შემუშავებული ინტერპრეტაციის საფუძველზე. განმარტებითი სახელმძღვანელოს მიზანია საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების მოწმობის მაძიებელ საწარმოებს, ინვესტორებს და უკვე არსებულ ავიაგადამზიდველებს გაუადვილდეთ წესით გათვალისწინებული ნორმების, არსებული თუ პოტენციური ვალდებულებების სწორად გაგება, ასევე გაიდრმაჰონ საკითხის მიმართ ცოდნა დოკუმენტში ასახულ თეორიულ მასალაზე და პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით. სახელმძღვანელო დაეხმარება ზემოთჩამოთვლილ პირებს ეფექტიანად დაგეგმონ და წარმართონ საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების მოწმობის მოპოვებასთან და მუდმივი ზედამხედველობის ფარგლებში ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული საქმიანობა. დოკუმენტი ხელმისაწვდომია სააგენტოს ვებ-გვერდზე: <https://gcaa.ge/guidance-materials/>.



## ავიასპეციალისტების სერტიფიცირება

პირები, რომელნიც ჩართულნი არიან საჰაერო ხომალდების ექსპლუატაციის, მომსახურების და/ან საჰაერო მოძრაობის მომსახურების პროცესში ექვემდებარებიან სავალდებულო სერტიფიცირებას. საქართველოში ავიასპეციალისტების სერტიფიცირებას (მოწმობების გაცემას) და მათ საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო.

- 2022 წლის განმავლობაში, მიმდინარეობდა ავიასპეციალისტებზე მოწმობების გაცემა, გამოცვლა, მოქმედების ვადის გაგრძელება და მოწმობაში საკვალიფიკაციო აღნიშვნების შესახებ ჩანაწერის გაკეთება. კერძოდ, სააგენტომ უზრუნველყო:

ავიასპეციალისტის მოწმობის გაცემა - 38;

ავიასპეციალისტის მოწმობის ვადის გაგრძელება - 243;

ავიასპეციალისტის მოწმობაში საკვალიფიკაციო აღნიშვნა - 309;

უცხო ქვეყნის ავიასპეციალისტის მოწმობის აღიარება - 89;

ავიამეთვალყურეთა მოწმობების გაცემა - 100.

- 2022 წელს, სააგენტოში დაიწყო თეორიული გამოცდების ჩატარება საფრენონსო ეკიპაჟის წევრებზე (CPL, ATPL) ავიასპეციალისტის მოწმობების და IR ოსტატობის პირველადი გაცემის, ასევე სხვა ქვეყნის მოწმობის პირველადი აღიარების მიზნით.



## მგზავრთა უფლებების დაცვა

ფრენების უსაფრთხოებასა და უშიშროებაზე ზედამხედველობასთან ერთად, სააგენტოს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას მგზავრთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა წარმოადგენს. დღეისათვის, უწყების მიერ დანერგილია სრული სპექტრი რეგულაციებისა, რომლებიც ადგენენ ევროპული სტანდარტების შესაბამის კომპენსაციებს რეისის გაუქმების შემთხვევაში, შშმ პირების უფლებების დარღვევის შემთხვევაში, ბარგის დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში. ამასთან 2017 წლიდან, ავიაკომპანიებს დაუწესდათ ევროპული სტანდარტების შესაბამისი სადაზღვევო მოთხოვნები.

- 2022 წლის განმავლობაში, სააგენტო აქტიურად იყო ჩართული მგზავრთა უფლებების დაცვის ზედამხედველობით საქმიანობაში. გადაყვანა-გადაზიდვების დეპარტამენტის მიერ, განხილულ იქნა 51 საჩივარი, რომლებიც შემოვიდა მგზავრებისა და შუამავალი ორგანიზაციების მხრიდან ფრენის დაგვიანების, ფრენის გაუქმების და/ან ფრენაზე უარის თქმის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი შემთხვევის განხილვისა და შესწავლის მიზნით, სააგენტოში მოწვეულ იქნა კონკრეტული ავიაკომპანიისა და დაზარალებული მგზავრების წარმომადგენელი ორგანიზაცია. საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა კიდევ ერთი ავიაგადამზიდველის წარმომადგენლებთან. ორივე შემთხვევაში, სააგენტოს ჩართულობით გამარტივდა ავიაკომპანიის მხრიდან საქართველოს მოქალაქეებზე კომპენსაციების გაცემის პროცედურა.
- 2022 წელს შშმ პირების უფლებებთან დაკავშირებით მომხმარებელთა მხრიდან საჩივარი არ შემოსულა.



## საავიაციო გარემოსდაცვითი აქტივობები

გარემოსდაცვითი და ავიაციის მიერ გამოყოფილი CO<sub>2</sub>-ის შემცირების მიზნებიდან და საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო უახლოეს გეგმავს ICAO-ს ნახშირორჟანგის კომპენსირებისა და შემცირების სქემის (CORSIA) ეტაპობრივ დანერგვას ქვეყანაში.

ICAO-ს ნახშირორჟანგის კომპენსირებისა და შემცირების სქემის (CORSIA) ეტაპობრივი დანერგვისა და საქართველოში რეგისტრირებული ავიაკომპანიების მიერ, ატმოსფეროში გაფრქვეული ნახშირორჟანგის გამონაბოლქვის მონიტორინგის მიზნით, ცვლილება შევიდა „საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიცირების წესში“, რომლის თანახმად, ავიაკომპანიები, რომლებიც ახორციელებენ 5700 კგ-ზე მეტი მაქსიმალური სერტიფიცირებული ასაფრენი მასის მქონე საჰაერო ხომალდის ექსპლუატაციას საერთაშორისო ფრენებზე, ვალდებულნი არიან შეინახონ ამავე ფრენებთან, მათ შორის, ამავე ფრენებზე გამოყენებულ საწვავთან დაკავშირებული ჩანაწერები 24 თვის განმავლობაში. ICAO-ს ნახშირორჟანგის კომპენსირებისა და შემცირების სქემა (CORSIA) ვრცელდება საერთაშორისო ფრენებზე და მიზნად ისახავს საერთაშორისო ავიაციის მიერ გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირებას, გამოყოფილი CO<sub>2</sub>-ის ფინანსური კომპენსირებისა და ბიოლოგიურად სუფთა საწვავის გამოყენების ხარჯზე ნაკლები CO<sub>2</sub>-ის გაფრქვევის გზით.



### პერსონალის / ინსტრუქტორების / შემოწმების ოპერატორების სერტიფიცირება, საშვების გაცემა

- 2022 წლის განმავლობაში, გაიცა საწვავ-გამმართველი საწარმოს ტექნიკური პერსონალის 18 მოწმობა და მოქმედების ვადა გაუგრძელდა საწვავ-გამმართველი საწარმოს ტექნიკური პერსონალის 26 მოწმობას;
- განხორციელდა სახიფათო ტვირთების ინსტრუქტორების სერტიფიცირება;
- გაიცა/გაგრძელდა 366 შემოწმების ოპერატორის სერტიფიკატი;
- გაიცა აეროპორტების კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონებში შესასვლელი პიროვნების და ავტროსატრანსპორტო საშუალებების მუდმივი საშვები (მათ შორის ეკიპაჟის წევრის 205 საშვი).

### საფრენი მოედნების მოსაწყობად ხელსაყრელი წერტილების შერჩევა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დავალებით სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა დაასრულა საქართველოს ტერიტორიაზე უმოქმედო და ახალი საფრენი მოედნების განთავსების ადგილების შესწავლა (შესწავლილი იქნა 333 ლოკაცია) და შეიმუშავა - „საქართველოს ტერიტორიაზე ვერტიფრენების არსებული, როგორც მოქმედი, ასევე უმოქმედო და ახალი საფრენი მოედნების მოწყობის შესაძლებლობის შესწავლის ანგარიში“, რომელიც შემდგომი რეაგირებისათვის წარედგინა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.

### NOTAM-ების გამოცემა / ცვლილებები AIP-ში

2022 წლის განმავლობაში, სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ დამუშავდა და გაიცა დაახლოებით 60 NOTAM-ი (ინფორმაცია საავიაციო საწარმოებისა და პერსონალისთვის). დამუშავდა და გაიცა საქართველოს ჰაერსაანოსნო ინფორმაციის კრებულის (AIP) 3 ცვლილება.





## საერთაშორისო ურთიერთობები და თანამშრომლობა

სამოქალაქო ავიაციის სფეროს წამყვან საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საავიაციო ხელისუფლებებთან თანამშრომლობის გაღრმავების, ურთიერთკოორდინაციის გაუმჯობესების, გლობალურ და რეგიონალურ დონეზე მიმდინარე მნიშვნელოვან ცვლილებებზე მუდამ განახლებული ინფორმაციის ქონის, სხვადასხვა ტექნიკური მიმართულებით გამოცდილების მიღების და გაზიარების მიზნით, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, მისი სპეციალისტების სახით აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო საავიაციო აქტივობებში, პროექტებში, ექსპერტთა სამუშაო ჯგუფებსა თუ თემატურ შეხვედრებში. სააგენტო ხელს უწყობს თანამშრომლების მაღალი დონის ჩართულობას ტექნიკური დახმარების პროექტებში, რომლის ფარგლებშიც სააგენტოს სპეციალისტები ეცნობიან წამყვანი ევროპული ქვეყნების გამოცდილებებს და თავის მხრივ დახმარებას უწევენ რეგიონის ქვეყნებს საქართველოს გამოცდილებების გაცნობის და პრაქტიკული ცოდნის გაზიარების კუთხით.

2022 წელს, განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები და აქტივობები:

- იანვარი, 2022 წელი*

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ხელმძღვანელი პირები კატარის სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში, მის ადმატებულება ჰასან აჰმად ალ-მუტავას შეხვდნენ. შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა ორ ქვეყანას შორის საავიაციო მიმოსვლის კუთხით არსებული მზარდი დინამიკა და სამომავლო პერსპექტივები განიხილეს.
- იანვარი, 2022 წელი*

სააგენტოს სამოქალაქო აეროდრომების და აეროპორტების დეპარტამენტის სპეციალისტებმა ყირგიზეთის საავიაციო ხელისუფლებისა და ინდუსტრიის წარმომადგენლებს გაუზიარეს საქართველოს გამოცდილება აეროდრომის ხელოვნურ საფარზე არსებული მდგომარეობის შეფასებისა და გადაცემის ICAO-ს ახალი გლობალური ფორმატის (GRF) დანერგვის კუთხით. სააგენტომ წარმატებით შეძლო მოსალდნელი ცვლილებების დაგეგმვა და ინდუსტრიასთან კოორდინაცია. შედეგად 2021 წელს, ქვეყნის საავიაციო სისტემა დადგენილ ვადებში გადავიდა GRF ფორმატზე.



- თებერვალი - მარტი, 2022 წელი*

საქართველოსა და ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკის საავიაციო ხელისუფლებებს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ჩრდილოეთ მაკედონიის სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიწვევით, სააგენტოს სააერნაოსნო მომსახურების დეპარტამენტის წარმომადგენელი ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკაში იმყოფებოდა, სადაც მან კოლეგებს სააერნაოსნო მომსახურების საწარმოს სერტიფიცირების და ზედამხედველობის კუთხით საქართველოს გამოცდილება გაუზიარა.
- თებერვალი - მარტი, 2022 წელი*

ICAO-ს ტექნიკური დახმარების პროგრამის ეგიდით და აზერბაიჯანული მხარის მიწვევით, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს აეროდრომებისა და აეროპორტების დეპარტამენტის სპეციალისტებმა აზერბაიჯანის სახელმწიფო სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს (SCAA) წარმომადგენლებს აეროდრომების სერტიფიცირების და ზედამხედველობის კუთხით საქართველოს გამოცდილება გაუზიარეს. კოლეგები დეტალურად გაეცნენ აღნიშნული მიმართულებით სააგენტოს მიერ შემუშავებულ პროცესებს და პროცედურებს. ვიზიტის განმავლობაში, პრაქტიკული სწავლება (OJT) ჩატარდა ასევე ბაქოს საერთაშორისო აეროპორტში.
- მაისი, 2022 წელი*

სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის პარიზის ბიუროში ევროპისა და ჩრდილო-ატლანტიკური რეგიონის საავიაციო ხელისუფლებების დირექტორთა შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ICAO-ს ევროპისა და ჩრდილო-ატლანტიკური რეგიონის საავიაციო ხელისუფლებების დირექტორთა შეხვედრის თავმჯდომარის მოადგილის რანგში საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს იმჟამინდელი ხელმძღვანელი ლევან კარანაძე გაუძღვა. ვიზიტის ფარგლებში, ლევან კარანაძემ მონაწილეობა მიიღო ასევე ევროპის სამოქალაქო ავიაციის კონფერენციის წევრი ქვეყნების საავიაციო ხელისუფლებების გენერალურ დირექტორთა შეხვედრაში. სააგენტოს ხელმძღვანელმა ორმხრივი შეხვედრები გამართა ევროკომისიის, ICAO-ს, EASA-ს და EUROCONTROL-ის წარმომადგენლებთან. ლევან კარანაძემ პარტნიორებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებული ერთიანი საჰაერო სივრცის შეთანხმებით გათვალისწინებულ აქტივობებზე და სააგენტოს სხვა მნიშვნელოვან აქტივობებზე მიაწოდა ინფორმაცია.



- მაისი, 2022 წელი*

ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის (TAIEX) ევროკავშირის პროგრამის ფარგლებში, სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ ექსპერტთა მისიას უმასპინძლა. სამუშაო შეხვედრებისა და სწავლების მიზანს სპეციალიზებულ ექსპლუატაციასთან (საავიაციო სამუშაოები) დაკავშირებული ევროპული რეგულაციის (EU No 965/2012 Part-SPO) განხილვა და მისი დანერგვის პრაქტიკული ასპექტების გაცნობა წარმოადგენდა. სააგენტოს სპეციალისტებთან ერთად, უწყების მოწვევით, შეხვედრებში მონაწილეობას იღებდნენ საავიაციო ინდუსტრიის წარმომადგენლები. პროგრამის მხარდაჭერით, საფრანგეთის სამოქალაქო ავიაციის გენერალური დირექტორატის საერთო დანიშნულების ავიაციის სამმართველოს წარმომადგენლებმა ქართულ მხარეს სპეციალიზებულ ექსპლუატაციასთან დაკავშირებით ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკა გაუზიარეს.
- მაისი, 2022 წელი*

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორმა Lufthansa Group-ის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის გაყიდვების უფროსს პიტერ პულემსა და რეგიონულ მენეჯერ კარსტენ ცანგს უმასპინძლა. შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა საქართველოს საავიაციო ბაზარზე წარმოდგენილი ავიაკომპანიების - Lufthansa-ს და Eurowings-ის ოპერირების არსებული მზარდი დინამიკა და ჯგუფში შემავალი სხვა ავიაკომპანიების მეშვეობით, საჭაერო მიმოსვლის არეალის გაფართოების შესაძლებლობები განიხილეს.
- ივნისი, 2022 წელი*

ქალაქ ბონში, სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის პროგრამების საკოორდინაციო ჯგუფის (PCG) შეხვედრა გაიმართა, რომელსაც საავიაციო სისტემების დაგეგმვის ევროპული ჯგუფის (EASPG) თავმჯდომარის რანგში საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს იმჟამინდელი ხელმძღვანელი, ლევან კარანაძე უძღვებოდა. შეხვედრაზე, მონაწილეებმა განიხილეს ფრენების უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით ჯგუფის და მისი თემატური ქვეჯგუფების საქმიანობის ფარგლებში შემუშავებული სამუშაო დოკუმენტები. შეხვედრა ქართული მხარისთვის მნიშვნელოვანი იყო იმ მხრივაც, რომ სააგენტოს სააერონავსო მომსახურების დეპარტამენტის უფროსმა, ლადო ყულჯანიშვილმა



ICAO-ს ენის ცოდნის მოთხოვნების დანერგვის ჯგუფის თავმჯდომარის რანგში წარმოადგინა სამუშაო დოკუმენტი ჯგუფის მიერ მიღწეული პროგრესის და სამომავლო გეგმების შესახებ.

- *ივნისი, 2022 წელი*

სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მოწვევით, საქართველოში ვიზიტით ყაზახეთის რესპუბლიკის ავიაციის ადმინისტრაციის გენერალური დირექტორი კატალინ რადუ იმყოფებოდა. შეხვედრაზე საავიაციო ხელისუფლებების პირველმა პირებმა ყურადღება გამამხვილეს უწყებებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მნიშვნელობაზე. როგორც შეხვედრაზე ითქვა, მხარეებს შორის უკვე არსებობს საკმაოდ პოზიტიური გამოცდილება სხვადასხვა ტექნიკური, მათ შორის საავიაციო უსაფრთხოებისა და უშიშროების მიმართულებებით თანამშრომლობის კუთხით. ამასთან, გამოითქვა მზადყოფნა, კოორდინაციის შემდგომ გაუმჯობესებაზე, როგორც ორმხრივ ისე საერთაშორისო საავიაციო ფორმატებში.

- *ივნისი, 2022 წელი*

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორმა ლევან კარანაძემ საფრანგეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში, მის აღმატებულება დიეგო კოლასს უმასპინძლა. შეხვედრაზე, მხარეებმა ვრცლად მიმოიხილეს სამოქალაქო ავიაციის მიმართულებით ორმხრივი თანამშრომლობის სფეროები და მოქმედი პროექტები, ასევე საქართველოსა და საფრანგეთს შორის საჰაერო მიმოსვლის კუთხით არსებული მზარდი დინამიკა.

- *ივნისი, 2022 წელი*

ბრიუსელში ევროპის საჰაერო ნავიგაციის უსაფრთხოების ორგანიზაციის მუდმივმოქმედი კომისიის და მმართველი საბჭოს შეხვედრები გაიმართა. როგორც EUROCONTROL-ის წევრმა სახელმწიფომ, საქართველომ ორგანიზაციის ხელმძღვანელის არჩევნებში მეორედ მიიღო მონაწილეობა. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს იმჟამინდელმა ხელმძღვანელმა და EUROCONTROL-ის მმართველი საბჭოს ვიცე-პრეზიდენტმა ლევან კარანაძემ რაულ მედინა კაბალიეროს ორგანიზაციის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე არჩევა მიულოცა, ასევე მადლობა გადაუხადა იმონ ბრენანს ევროკონტროლის ხელმძღვანელის რანგში ეფექტური და ნაყოფიერი მუშაობისთვის.



- ივლისი, 2022 წელი; სექტემბერი, 2022 წელი*

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ინიციატივით და ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის (TAIEX) ევროკავშირის პროგრამის მხარდაჭერით, 2022 წლის ივლისსა და სექტემბერში, თბილისში გერმანელ ექსპერტთა მისია იმყოფებოდა. ვიზიტის მიზანს უპილოტო საჰაერო ხომალდების ოპერირების და ზედამხედველობის ევროპული სტანდარტების განხილვა, ასევე ქართული მხარის მიერ, უპილოტო საჰაერო ხომალდების საჰაერო სივრცეში ინტეგრაციის კუთხით გერმანიის პრაქტიკული გამოცდილების შესწავლა წარმოადგენდა.
- სექტემბერი, 2022 წელი*

სააგენტოს სააერნოსნო მომსახურების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი და მეტეოროლოგიური მომსახურების ინსპექტორი ნინო ICAO-ს ევროპის რეგიონის საავიაციო სისტემების დაგეგმარების ჯგუფის საქმიანობის ფარგლებში შექმნილი მეტეოროლოგიური ჯგუფის (METG) ვიცე-თავჯდომარედ აირჩიეს. მეტეოროლოგიური ჯგუფის მიზანია სააერნოსნო მეტეოროლოგიის მიმართულებით ICAO-ს ევროპის რეგიონის საავიაციო სისტემების დაგეგმარების ჯგუფის ამოცანების შესრულება და ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნების მხარდაჭერა. გარდა აღნიშნული მიღწევისა, ნინო გელოვანი ასევე არჩეულ იქნა მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის (WMO) სერტიფიცირების და აუდიტის საექსპერტო ჯგუფის წამყვან აუდიტორად. აღნიშნული ჯგუფის მიზანია WMO-ს გლობალური მასშტაბით არსებული ინტეგრირებული დაკვირვების ცენტრების სერტიფიცირების და ინსპექტირების სახელმძღვანელო მასალების, აუდიტის პროცესების შექმნა, დანერგვა და განხორცილება.
- სექტემბერი, 2022 წელი*

საქართველოს დელეგაციამ ICAO-ს ორმოცდამეერთე ასამბლეის მუშაობაში მიიღო მონაწილეობა. ღონისძიება მონრეალში, ICAO-ს შტაბ-ბინაში მიმდინარეობდა და მასში 177 სახელმწიფოს ორი ათასამდე დელეგატი მონაწილეობდა. ღონისძიების დღის წესრიგის მთავარ და აქტუალურ საკითხებს საავიაციო სექტორის მდგრადობა და საჰაერო მიმოსვლის აღდგენა წარმოადგენდა. საქართველოს სახელით, ასამბლეაზე მოხსენებით წარსდგა სააგენტოს დირექტორი, რომელმაც როგორც გასული მე-40 ასამბლეის ფარგლებში, ისე ამჯერადაც გააქდერა ქვეყნის პოზიცია ოკუპირებულ ტერიტორიაზე, კერძოდ ე.წ. სოხუმის



აეროპორტიდან საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის დაუშვებლობის თაობაზე, სანამ ფრენების უსაფრთხოებაზე ზედამხედველობა არ იქნება უზრუნველყოფილი ქართული მხარის მიერ. აქვე მან მადლობა გადაუხადა იკაოს ქვეყნის სრული მხარდაჭერისთვის აღნიშნულ საკითხში. ასამბლეის საქმიანობაში მონაწილეობის მიღების გარდა, საქართველოს დელეგაციამ გამართა ორმხრივი და მრავალმხრივი შეხვედრები საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციების და პარტნიორი საავიაციო ხელისუფლებების პირველ პირებთან, მათ შორის, შეხვედრები შედგა ICAO-ს გენერალურ მდივანთან, საბჭოს პრეზიდენტთან, კატარის სახელმწიფოს და კორეის რესპუბლიკის საავიაციო ხელისუფლებების პირველ პირებთან.

- *ნოემბერი, 2022 წელი*

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსა (GCAA) და გერმანიის სააერონავიაციო მომსახურების ზედამხედველობის ფედერალურ ორგანოს (BAF) შორის არსებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ქართული მხარე ავიამეთვალყურეების და შესაბამისი სასწავლო დაწესებულებების სერტიფიცირების გერმანულ გამოცდილებას გაეცნო. სააგენტოსა და საქაერონავიაციის წარმომადგენლები გაეცნენ გერმანიის პრაქტიკულ გამოცდილებას საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის მოწმობების გაცემის და საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის სასწავლო დაწესებულების სერტიფიცირების პროცესის წარმართვის კუთხით, ასევე მოისმინეს ინფორმაცია, თუ როგორ ხორციელდება ზედამხედველობის ორგანოს მიერ დადგენილი მოთხოვნების შესრულება სააერონავიაციო მომსახურების მიმწოდებლების და თავად მოწმობის მფლობელების მხრიდან.

- *დეკემბერი, 2022 წელი*

საქართველოს დელეგაციამ ევროპის სამოქალაქო ავიაციის კონფერენციის (ECAC) წევრი ქვეყნების საავიაციო ხელისუფლებების გენერალურ დირექტორთა შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. რიგით 159-ე შეხვედრის მონაწილეებმა პოსტპანდემიურ პერიოდში საავიაციო სექტორის გამოწვევები, საჰაერო მიმოსვლის აღდგენის დინამიკა და დარგის გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივები განიხილეს. ღონისძიების ფარგლებში, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გივი დავითაშვილმა და საქაერონავიაციის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ლევან კარანაძემ ორმხრივი და მრავალმხრივი შეხვედრები გამართეს საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციების პირველ პირებთან და პარტნიორი ქვეყნების საავიაციო ხელისუფლებების ხელმძღვანელებთან.



## სააგენტოს საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა და ეფექტურობის ამაღლება

- სააგენტოს ორგანიზაციული განვითარების, მართვის, დელეგირების, თანამშრომელთა ანგარიშვალდებულების და სამუშაოს შესრულების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ასევე, თანამშრომელთა კარიერული განვითარების, წახალისების, პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების, პროფესიული განვითარების საჭიროებებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სამართლებრივი შედეგების წარმოშობის წინაპირობების გაუმჯობესებული მექანიზმის დასადგენად, შემუშავდა „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თანამშრომელთა შეფასების წესის“ პროექტი. ასევე, დამხმარე სახელმძღვანელოს სახით, შემუშავდა „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თანამშრომელთა ძირითადი და ფუნქციური კომპეტენციების აღწერა“, რომელიც მოიცავს სააგენტოს თანამშრომლების საკვალიფიკაციო მოთხოვნებით განსაზღვრული ზოგიერთი ძირითადი და ფუნქციური კომპეტენციის აღწერას და მათი საუკეთესო და უარყოფითი შეფასების ინდიკატორებს. შეფასების წესის დანერგვა უახლოეს წლებში იგეგმება.
- მიმდინარეობს ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის - eHRMS-ის დანერგვის პროცესი. eHRMS მოიცავს საჯარო სექტორში დასაქმებული ადამიანური რესურსების ერთიან მონაცემთა ბაზას და მისი მიზანია ადამიანური რესურსების ელექტრონული მართვის უზრუნველყოფა. პროგრამა დამსაქმებელს საშუალებას აძლევს სრულად მოახდინოს სტრუქტურისა და საშტატო ერთეულების მართვა, სხვადასხვა სტატისტიკური ინფორმაციის გენერაცია, თანამშრომლების შესახებ სრულყოფილი და მუდმივად განახლებული ინფორმაციის არსებობა და სხვა. ამასთან, პროგრამა გარკვეულ კომპონენტებში დასაქმებულს გაუწევს ე.წ. Self Service-ს. პროგრამის სრულად დანერგვა 2023 წლიდან იგეგმება.
- სააგენტოს მიერ გამოცხადდა 3 საჯარო კონკურსი შემდეგ ვაკანტურ პოზიციებზე: ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი; გადაყვანა-გადაზიდვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (მორიგე-ოპერატორი); ფრენის სტანდარტების, სერტიფიცირების და ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი.



- 2022 წელს, გათავისუფლდა 5 თანამშრომელი, მათ შორის 2 პირადი განცხადების საფუძველზე, ხოლო 3 მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე;
- 2022 წელს, დეპარტამენტების საქმიანობების შესაბამისად ითარგმნა ათამდე დოკუმენტი (წესის პროექტი, ევროპული რეგულაცია, პროგრამა, სახელმძღვანელო და ა.შ.);
- სააგენტოს დაფინანსებით, სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით, თუ საერთაშორისო პროგრამების ფარგლებში, 2022 წელს განხორციელდა შემდეგი სწავლებები:
  - „EU Ramp Inspection Programm (SAFA) - Inspectors Recurrent Training Course“ (on-line), სასწავლო ორგანიზაცია: JAA Training Organization (4 თანამშრომელი);
  - „EASA AIR Operation for Helicopters“, სასწავლო ორგანიზაცია: JAA Training Organization, ნიდერლანდები (1 თანამშრომელი);
  - „ეთიკური ლიდერობა“ საჯარო მოხელეთა ფორუმის ფარგლებში (on-line) (2 თანამშრომელი);
  - „Cyber Security in Aviation Course“ (on-line), სასწავლო ორგანიზაცია: CAA Int. Limited - UK Civil Aviation Authority (2 თანამშრომელი);
  - ჯგუფური ქოუჩინგი თემაზე - “ადამიანური რესურსების სისტემების მოდელირება” USAID-ის ადამიანური და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების პროექტის ინსტიტუციური განვითარების ცენტრის (HICD) ხელშეწყობით (შერეული/ჰიბრიდული ტიპის სასწავლო კურსი) (2 თანამშრომელი);
  - „Performance Based Oversight Model“ - შიდა ტრენინგი სააგენტოს თანამშრომლებისთვის;
  - „MMEL/MEL Training Course“ - შიდა ტრენინგი სააგენტოს თანამშრომლებისთვის;
  - „Remotely Piloted Aircraft Systems - A Regulatory Overview (UAS-REG)“, სასწავლო ორგანიზაცია: IANS - Institute of Air Navigation Services, ლუქსემბურგი (2 თანამშრომელი);





“EASA Air Operation NCC (non-commercial air operations with complex motor-powered aircraft)”  
სასწავლო ორგანიზაცია: JAA Training Organization, ნიდერლანდები (2 თანამშრომელი);

“Airport Development & ORAT (Operation Readiness and Airport Transfer) Course”, ICAO/ TRAINAIR PLUS, კორეა (1 თანამშრომელი);

„მენეჯერული უნარები და გუნდური მუშაობა“ - შიდა ტრეინინგი თანამშრომლებისთვის;

„ემოციები და სტრესის მართვა“ - შიდა ტრეინინგი თანამშრომლებისთვის;

“ICAO-ს საავიაციო უშიშროების სემინარი” (ICAO, რიგა, ლატვია) (2 თანამშრომელი);

“UAS–SORA (Specific Operations Risk Assessment (SORA) for Unmanned Aircraft Systems (UAS))”,  
სასწავლო ორგანიზაცია: JAA Training Organization, ნიდერლანდები (2 თანამშრომელი);

„Special Operating Rules: ETOPS, MNPS, RVSM, LVO, (AWOPS), PBN“ (On-line), სასწავლო ორგანიზაცია: JAA Training Organization, ნიდერლანდები (3 თანამშრომელი);

„ICAO Government Safety Inspector Operations - Air Operator Certification (GSI OPS EN)“(Virtual Classroom Course), სასწავლო ორგანიზაცია: სინგაპურის საავიაციო აკადემია (1 თანამშრომელი);

„Basic Airworthiness Inspector Course“, სასწავლო ორგანიზაცია: JAA Training Organization, ნიდერლანდები (1 თანამშრომელი);

„მოსამზადებელი კურსი ტვირთის და ფოსტის საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის კუთხით“ (ICAO, ასტანა) (1 თანამშრომელი);

„Boeing 747-200/300 Type Rating Program for Aircraft Maintenance Personnel“ (სავიაციო უნივერსიტეტი) (1 თანამშრომელი);

„AMCI MED.D.030 Validity of AME Certificates - Refresher training of EASA Regulation“ (ICAM 2022 - 1st International Conference of Aerospace Medicine, პარიზი) (1 თანამშრომელი);

„Training Course on Environment Friendly Future for Aviation (ENV-AWARE)“, (IANS, ლუქსემბურგი) (1 თანამშრომელი);

“სავალდებულო და შერჩევითი ინვენტარიზაცია საბიუჯეტო ორგანიზაციაში” (ფინანსთა სამინისტრო) (1 თანამშრომელი);



„Controller Competency Assessor“ (EALC - Eurocontrol Aviation Learning Center) (1 თანამშრომელი);

„Part-66 და part-147 დანერგვასთან დაკავშირებით, ადგილზე გამოცდილების გაზიარება“ (AustroControl) (3 თანამშრომელი);

„Regulatory Framework in Air Transport Industry“ (ENAC, ტულუზა, საფრანგეთი) (1 თანამშრომელი);

„Maintenance Programme & Reliability Programme Training Course“ - შიდა ტრენინგი (2 თანამშრომელი);

„Air Transport Economics“ (ENAC, ტულუზა, საფრანგეთი) (1 თანამშრომელი);

„EASA Aircrew Licensing Training Course (EU) 1178/2011 and Amending Regulations“ (სასწავლო ორგანიზაცია: JAA Training Organization, ნიდერლანდები (1 თანამშრომელი);

„Sustainable Development of Air Transport“ (ENAC, ტულუზა, საფრანგეთი) (1 თანამშრომელი);

„EASA Aircrew Licensing Training Course (EU) 1178/2011 and Amending Regulations“ (სასწავლო ორგანიზაცია: JAA Training Organization, ნიდერლანდები (1 თანამშრომელი);

„უსაფრთხოების მითითების გამოცემა, აღიარება და გავრცელება“ - შიდა სასწავლო კურსი თანამშრომლებისთვის;

„Advanced Accident and Incident Investigation“ (On-Line) (სასწავლო ორგანიზაცია: JAA Training Organization, ნიდერლანდები (1 თანამშრომელი);

„CORSIA“ (On-Line, ENAC) (2 თანამშრომელი);

„International Search and Rescue (SAR) Operations - Introductory Module“, (On-Line) JAA Training Organization) (1 თანამშრომელი) და სხვა.



## სააგენტოს საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

- 2022 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით, სააგენტოში შემოვიდა 52 განცხადება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით. მოთხოვნილი ინფორმაცია გაიცა ყველა მოქალაქეზე და ორგანიზაციაზე გარდა ერთისა. ერთი განცხადება გასაჩივრებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში;
- „ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N219 დადგენილებით დაწესებულ ვადებში, სააგენტოს მიერ, რეგულარულად ხორციელდება ნუსხით განსაზღვრული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ატვირთვა ოფიციალურ ვებ გვერდზე;
- გარე განხილვის ფარგლებში, ნორმატიული აქტების პროექტების განთავსება ხდებოდა (9 პროექტი) სააგენტოს ვებ-გვერდზე სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ განყოფილებაში (ნორმატიული აქტების პროექტები).

## სტუდენტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსა და საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, 2022 წელს, სასწავლო დაწესებულების ბიზნეს ადმინისტრირების და საინჟინრო ფაკულტეტების სტუდენტებმა სააგენტოში ორთვიანი პროფესიული პრაქტიკა გაიარეს. სასწავლო პროგრამის ფარგლებში, სტუდენტები გაეცნენ სააგენტოს საქმიანობის ყველა მიმართულებას, უწყების ორგანიზაციულ მოწყობას და სტრუქტურული ერთეულების ყოველდღიური მუშაობის სპეციფიკას.



## სოციალური პასუხისმგებლობა

- სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თანამშრომლები 2014 წლიდან ახორციელებენ ყოველთვიურ დონაციას სოლიდარობის ფონდში. 2022 წლის განმავლობაში, თანამშრომლების პირადი შემოწირულობებით ფონდისთვის 5 035 ლარის მობილიზება მოხერხდა;
- საახალწლოდ სააგენტომ ტრადიციულად ჩაატარა საქველმოქმედო აქცია. თანამშრომელთა პირადი შემოწირულობებით შეგროვებული თანხის ფარგლებში, სააგენტომ უზრუნველყო 2100 ლარის ღირებულების საკვები პროდუქტების შეძენა, რომელიც გადაეცა საქველმოქმედო ფონდ „მომავლის გზას“ და ააიპ დემოკრატიული განვითარებისა და ინიციატივების ცენტრის „სოციალური სახლის“ უფასო სასადილოს.



## 2023-24 წლებში დაგეგმილი მნიშვნელოვანი აქტივობები:

2023-24 წლებში, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ, იგეგმება შემდეგი მნიშვნელოვანი აქტივობების განხორციელება:

- საავიაციო ტექნიკის ფრენის ვარგისობის შენარჩუნების ევროპული მოთხოვნების (EU REG 1321/2014 Part-M) ასახვა ეროვნულ კანონმდებლობაში;
- სამოქალაქო ავიაციის ეკიპაჟის წევრების მომზადებისა და სერტიფიცირების წესების შემუშავება ევროპული რეგულაციის 1178/2011 მოთხოვნების გათვალისწინებით;
- საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიცირების პროცესის დახვეწა;
- საჰაერო მოძრაობის მომსახურების მოთხოვნების სრულყოფა;
- სააერონავსო მომსახურების საწარმოს სასწავლო დაწესებულების რესერტიფიცირება;
- სპეციალიზირებული და საერთო დანიშნულების ავიაციის რეგულირება ევროპული სტანდარტების შესაბამისად;
- უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემების ექსპლუატაციის ახალი წესების შემუშავება ICAO-სა და EASA-ს მიერ შემუშავებულ ახალ სტანდარტებზე დაყრდნობით;
- მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან სამოქალაქო ავიაციის უშიშროების დაცვის უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის ახალი რედაქციის ინიცირება;
- დაბრკოლებათა კონტროლის, რეგულირების პროცესის დახვეწა აეროდრომის დაცვის არეში;
- ნახშირორჟანგის კომპენსირებისა და შემცირების სქემის (CORSA) ეტაპობრივი დანერგვა;
- ჩიკაგოს კონვენციის პირველი დანართის შესაბამისი უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემების ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესის დანერგვა;
- არაკომპლექსური ძრავის მქონე საჰაერო ხომალდის არაკომერციული ექსპლუატაციის წესის დანერგვა ევროკომისიის რეგულაციის შესაბამისად;
- ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების და ავიასაწარმოების ზედამხედველობის პროცესის ავტომატიზაცია.

## საქმიანობის ანგარიში 2022 წელი

